№ 138

ოთხშაბათი, 27 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

№ 138

ოთხშაბათი, 27 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.


**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

---

სასტიკ და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფ. მცხეთას, საკუთარ სახლში, 23 ივნისს გარდაიცვალა

**თ. კონსტანტინე დავითის ძე გედევანიშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი, შვილები, რძალი და სიძე.** პანაშვიდები ყოველ დღეა. მიცვალებულს დაჰკრძალვენ მცხეთაში, სვეტი-ცხოვლის ტაძრის გალავანში 27 ივნისს, დილის 11 საათზე. (2—145—2)

---

## საათვთიაქრო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

**განყოფილება** სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—43—54)

ადრესი ტელეგრამებისა: Тифлисъ „Фармацевтика“

ტელეფონი № 741.

---

**„ივერიის“ რედაქციისაგან.**

ვისაც სურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოეშალოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

---

**ქუთაისში**

ახალი სასტუმრო ბულვარის გვერდით, ანდრონიკაშვილის სახლებში

## „ბელვიუ“.

დასავლეთით სასტუმრო დაჰყურებს ქალაქის ბაღს, სამხრეთით სობოროს მიდამოს და მოჩანს უხიმერიონის მთა თავისის ისტორიულის ნანგრევებით. სასტუმრო მშვენივრად არის მორთული. სამაგალითო სამზარეულო აქვს და ზრდილობიანი მოსამსახურენი ჰყავს. მოქმედებას დაიწყებს 1901 წლის 1 ივლისს. (3—6.—2)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**გ. ა. ჭაჭანაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მუდაძე**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ი. ზ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. მატინოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

**გ. დ. მარკოზოვი**—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბედროსოვი**—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ც. ი. ბებანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ვ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ტ. ი. გელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

**ტ. ა. თარხნოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არღუტინსკი.** 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

---

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ გუბერნსკი სეკრეტრობა ქუთაისის გუბერნიის ტყის მცველის თანაშემწეებს თავ. დ ა დ ე შ ქ ე ლ ი ა ნ ს ა და ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს; კოლეჟსკი ასესორობა—ქუთაისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს კ ი ზ ი რ ი ა ს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—შარურ-დარალაგეზის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—შარურ-დარალაგეზის განყოფილების მომრიგებელ მოსამირთლის თანაშემწეს ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს.

---

## ახალი ამბავი

*** ბათუმიდგან დეპეშით გვატყობინებენ: „რადგანაც ბათუმის ქალაქის სიბჭომ დაადგინა განასაჩივროს სენატში საგუბერნიო საკრებულოს გარდაწყვეტილება ბ-ნ ივანოვის ქალაქის გამგეობის წევრად დანიშვნის შესახებ, ივანოვი, რომელიც 25-ივნისს საბჭოში თავმჯდო-

---

# ფელეტონი

**მარიამ შოტლანდელი**

ხუთ-მოქმედ. დრამა

თხზ. ბერნსტერნ-ბერნსონისა.

თარგმანი ინ-ანისა.

(შემდეგი *)

**მოქმედება მეხუთე.**

ორის თვის შემდეგ.

დენბარის ციხე-დარბაზი. ძველებური დარბაზია, რომელსაც წინ სხვა დიდი დარბაზი აქვს.

**გამოსვლა I.**

(ჯარის-კაცთა რაზმი მძიმედ შემოდის და ორპირადა დგება, ერთი მეორის პირდაპირ, დარბაზის წინა მხარეს; ჯარის-კაცები თოფებს გადააჯვარედინებენ და ამ რიგად თოფების კამარას შეჰკვრენ. ფანფარის **) ხმაზედ შემოდის ბოტველი, თავით ფეხებამდე შეიარაღებული, რომელსაც საგზაოდ ჩაცმული დედოფალი შემოჰყავს; დედოფალს პირბადე აფარია. სცენაზედ რომ შემოვლენ, ბოტველი დაბრძანებასა სთხოვს, მაგრამ დედოფალი უარს ამბობს. ამ დროს წინ წამოდგება რაზმის უფროსი, რომელსაც ხელში დროშა უჭირავს; დროშაზედ შოტლანდიის გერბია დახატული. ჯარის-კაცნი დროშას გარს შემოუვლიან და წავლენ; გავლენ თუ არა ჯარის-კაცნი, დედოფალი პირ-ბადეს ჩამოიხსნის და ბოტველთან მივა).

დედოფალი. რას ნიშნავს, ნეტა? ჩვენა და ჩვენს ამალას გზაზედ გარს შემოგვერტყნენ, თქვენს მაგარს ციხეში მოგვიყვანეს და აქ დარაჯი დაგვიყენეს?

ბოტველი. (მუხლს მოიდრეკს). მაპატიევით! მეტის მოთმენა ველარ შევიძელ... სიყვარულმა გამაბედვინა.

დედოფალი. გრაფო, გთხოვთ ამიხსნათ!

ბოტველი. მე კიდევ გთხოვთ დანაპირი შემისრულოთ,—გახსოვთ, ბეც მომეცით?

დედოფალი. და მერე მიბედავთ კიდეც?..

ბოტველი. მე მხოლოდ ერთის დანაპირის მოგონება მინდა, სხვებს არ გაგონებთ.

დედოფალი. მაგრამ ეს ხომ ძალადობაა!?.

ბოტველი. მე მხოლოდ ვითხოვ.

დედოფალი (ზიზღით და დაცინვით). ჯარის-კაცებით გარემოცული?

ბოტველი. მეც, ეს ციხეცა და ჩემი ხალხიც—სამნივ თქვენის ბრძანების აღმასრულებელნი გახლავართ.

დედოფალი. და მზად ხართ დამმორჩილდეთ?

ბოტველი. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ!

დედოფალი. (ამაყად). მაშ, წაიყვანეთ ეს კაცები და თვალით ნუღარ დამენახვებით! (ზურგს შეაქცევს).

ბოტველი. (მცირე ფიქრის შემდეგ). თქვენის უდიდებულესობისათვის ორჯერ უკვე ვიყავი განდევნილი, მესამედაც წავალ (თავს მოიხრის და უნდა წავიდეს).

დედოფალი. განიდევნოთ? ო, დიახ, ჩვენი სამსახური თქვენ აღარ შეგიძლიანთ.

ბოტველი. ჩემის ასეთის თამამი საქციელის ერთად-ერთი აზრი ის იყო მხოლოდ, რომ თქვენის უდიდებულესობისათვის მფარველობა გამეწია.

დედოფალი. მფარველობა?

ბოტველი. მე არა, სულ ერთია, ხვალ მაგას სხვა ვინმე იზამდა. ამ ქვეყნად ქვრივათ დარჩენასა და მშვიდობიანად ცხოვრებას ვერ ეღირსებით. შოტლანდიის ყველა წარჩინებული ლორდი იმასა სცდილობს, რომ დედოფალს როგორმე დაეუფლოს.

დედოფალი. (ფიცხად და გაჯავრებით). შოტლანდიის ლორდები ტყის მხეცები არიან, მეტის სასტიკობისა და ვნებათ-მოყვარეობისაგან მთლად გაველურებულნი!

ბოტველი. (მიუახლოვდება). და მოდით ამათში საიმედო მფარველი ეძიეთ, მე-კი თქვენი ერთგული ვარ!

დედოფალი. ვიცი იყავი და შეგეძლო კიდევაც... მაგრამ, არა, შენც... წადი!

ბოტველი. ნუ გეშინიანთ, ჩემო ქედანო! მეგობრულად გავიწიოთ ერთად.

დედოფალი. რაღაცა გაქვს თითქოს მართლა ისეთი, რაიცა ადამიანში უნებურად შიშსა ჰბადებს.

ბოტველი. მას შემდეგ რაც, გახსოვთ, დაბურულს ტყეში გამექეცით და ცეცხლებრ მწველი ნაპერწკალი კოცნისა შემომაფრქვიეთ—იგი ერთთავად ძლიერდებოდა და ჩემს ოცნებას ცეცხლს უკიდებდა, მხურვალე ვნება ცეცხლივით მეგზნებოდა!..

დედოფალი. ბოტველ!

ბოტველი. მე ახლა ერთი-ღა მინდა.

დედოფალი. იფიქრე, რას ამბობ!..

ბოტველი. (ვნებით გატაცებული დაიძახებს). არა, არა, შენ უთუოდ ჩემი ცოლი უნდა გახდე!

დედოფალი. (გაოცებული). შენი.. მარიამ სტიუარტი, დედოფალი შოტლანდიისა—ჯემს ჰეპბერნის ცოლი.. ხა! ხა! ხა! ხა! (ბოტველი სწრაფად ფეხზედ წამოდგება). არა, როდი ვიცინოდი (ხანგრძლივი პაუზა). მართალია, გაქვს რაღაც დიდებული თვისება, რომელიც ხან-და-ხან უნებურად გამიტაცებს ხოლმე... ხანკი... აი, როდესაც აგრე გხედავ, როგორც ახლა, შენი სწორედ მეშინიან და მეშინიან უფრო მეტად,

*) იხ. „ივერია“, № 134.

**) ფანფარი—საყვირია, საკრავი.

მარჯობდა, წინააღმდეგი იყო ქალაქის მოადგილის არჩევანებისა. ბ-ნმა ივანოვმა კრებას თავი მიანება; მაშინ საბჭომ, გამგეობის წევრის ვოლსკის თავმჯდომარეობით, მოახდინა ქალაქის თავის მოადგილის არჩევნები. არჩეულ იქმნა ბ-ნი ვოლსკი, რომელსაც 17 თეთრი და 3 შავი კენჭი ამოუვიდა. ბ-ნ ივანოვს 17 შავი და 3 თეთრი კენჭი ამოუვიდა“.

** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ეს რამდენიმე წელიწადია, მიწად მოქმედების სამინისტრო შავის ზღვის პირად ნაჭრებად დაყოფილ სახაზინო მიწებს მსურველთ ურიგებს ძვირფას მცენარეთა გასაშენებლად. სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ ქუთაისის გუბერნიაშიაც დაჰყოს სახაზინო მიწები ნაჭრებად და დაურიგოს მსურველთ.

** საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი, რომლითაც თითო კლასიკური გიმნაზია დატოვებულ იქმნება მხოლოდ შემდეგ ქალაქებში: პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ოდესასა, ვარშავასა, რიგასა და ტფილისში. ამ გიმნაზიებს ხაზინა თავისს ხარჯზედ შეინახავს. ამის გარდა, სამინისტროს გადაუწყვეტია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს იმ კერძო კაცთა და საზოგადოებათ, რომელნიც თავიანთის ხარჯით კლასიკურ გიმნაზიების დაარსებას განიზრახავენ.

** რადგანაც ავჭალის ქუჩის სახალხო წარმოდგენათა და კითხვათა აუდიტორიას მრავალი ნაკლულევანება აქვს, მაგ., არა აქვს რიგიანად მოწყობილი სცენა, დეკორაციები, ტანისამოსი და სხვანი, ამისათვის სცენის მოყვარეთ გარდაუწყვეტიათ პარასკევს, 29 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრში წარმოდგენა გამართონ რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენაზედ. წარმოდგენის დასასრულ გაიმართება კონცერტი, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ: ბ-ნის ფალიაშვილის მგალობელთა გუნდი და თავ. ი. ბარათაშვილი. ამ წარმოდგენის წმინდა მოგება გადადებულია ავჭალის სახალხო აუდიტორიის შესაკეთებლად. იმედია, წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრება.

** შავის ზღვის პირად ბათუმის მახლობლად, ეგრედ წოდებულ „ზელიონი მისის“ სახლის პატრონებმა, რკინის გზის მთავრობის ნებართვით, ააშენეს ბაქანი მგზავრთათვისა და აქამდის ინახავდნენ ამ ბაქანს თავისის ხარჯით. ეხლა, რადგანაც ამ ბაქნის შენახვა ძვირადა ჯდება, აგარაკის პატრონთ უარი განაცხადეს ამიერიდგან ამ ბაქნის შენახვაზედ. ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობასაც არა ჰსურს ბაქანის შენახვა თვითონ იკისროს, ამიტომ აზრადა აქვთ შუამდგომლობა აღძრან ბაქნის სრულიად გაუქმების შესახებ.

** როგორც შევიტყეთ, ტფილისის რკინის გზის ექვს კლასიან სასწავლებელში მომავალ სამოსწავლო წელს ბავშვებს მხოლოდ პირველ, მეხუთე და მეექვსე კლასებში მიიღებენ. მისაღები ეგზამენები მოხდება 27, 28 და 31 აგვისტოს.

** წელს ქუთაისის მაზრაში 60,000 კოლოფი ანუ 400,000 მისხალი აბრეშუმის თესლი გასაღებულა; გაუსყიდველი დარჩენიათ მეაბრეშუმეებს 20,000 კოლოფი თესლი.

** ხვალ, 28 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის სხდომა მოხდება, რომელსაც განსახილველად რამდენიმე მიმდინარე საქმე აქვს; სხვათა შორის, კომისიამ უნდა ამოირჩიოს ქალაქის იმ ექვს სასწავლებლისათვის მასწავლებელნი, სადაც ამ ჟამად მასწავლებელთა ადგილებია განთავისუფლებული.

** გუშინ ტფილისის ოლქის სამოსამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ გამოაცხადა თავისი გარდაწყვეტილება, რომლითაც ავჭალის ცხენის რკინის გზის მოიჯარადრეთ ბ-ნს ალიბეგოვსა და ყორღანოვს ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან ორასი ათასი მანეთი მიესაჯათ. როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული ამას წინად, უსახელო საზოგადოება ავჭალის გზის კონცესიონერებს გზის გამოსყიდვის შესახებ პირობით შეეკრა, რომლის ძალითაც უსახელო საზოგადოებას რვა ასი ათასი ფრანკი უნდა გადაეცა. ხოლო თუ ამ პირობას დაარღვევდა, ყორღანოვისა და ალიბეგოვის სასარგებლოდ ჯარიმას გარდიხდიდა.

** როგორც იმერეთიდგან გვატყობინებენ, სიცხეებმა მეტად ცუდი გავლენა იქონიეს ყანებზედ. დღიურ მუშას 1 მ. და 20 კაპეიკ ნაკლებ ვერ იშოვნის დღეს იმერეთში. მკას ორი კვირაა რაც შეუდგნენ. ჯერჯერობით მოსავალს კარგი პირი უჩანს.

** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის მრჩეველი ბ-ნი ტებენკოვი, ტფილისის გუბერნატორის საგანგებო მინდობილებათა მოხელე თავ. მუხრან-ბატონი და ტფილისის სახაზინო პალატის საგანგებო მინდობილებათა მოხელე ტერ-მიხაილოვი შეუდგნენ ტფილისის „მეშჩანთა“ გამგეობის რევიზიას.

** რკინის გზათა გამგეობას გაუგზავნია ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისათვის 54,955 მან. ბათუმსა და ხაშურს შორის გაყვანილ ნავთის მილის სამუშაოების დასამთავრებლად.

** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულს შეუმუშავებია ინსტრუქციების პროექტი სახაზინო გლეხების ამიერ-კავკასიაში დასახლებისა. პროექტი დაურიგდა იმათ, ვინც მიწები უნდა გამიჯნონ სახაზინო გლეხთათვის.

** როგორც პოლიციის გამოძიებით გამოირკვა, ჩუღურეთში 23 ივნისს ცეცხლის გაჩენის მიზეზი ისა ყოფილა, რომ საბრალო მარიამ გასიტაშვილისას სამზარეულო ოთახში ცეცხლი დაუნთია და თვით დაღალული ყოფილა და იქვე მისძინებია. საწყალს მხოლოდ მაშინღა გამოუღვიძნია, როცა უკვე სახლს მთლად ცეცხლი ჰქონია მოდებული. თვით გარდაცვალებულის მამამ ზარალი სხვა-და-სხვა ნივთების დაღუპვისაგან 5,000 მან. გამოაცხადა, ხოლო დანარჩენმა სახლის მობინადრეებმა 30,600 მან.

** როგორც „ჯვ.“-ს ბორჯომიდგან დეპეშით ატყობინებენ, დაბა ბორჯომსა და რკინის გზის სადგურს შუა გზა გაფუჭებულა, რის გამო მიმოსვლა შეჩერებულია თურმე.

** ტფილისის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს მომავალ შემოდგომას გადასდოს ქალაქის ლომბარდისათვის ადრე გადადებულ 20,000 მანეთის გარდა კიდევ 160,000 მან.

** ამ დღეებში ვორონეჟის გუბერნიის რამდენიმე მცხოვრები ჩამოსულა ტფილისში და უთხოვნია მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულისათვის დაეთმოთ მათ ამ გუბერნიაში საჭირო მიწა 50 ოჯახის რუსეთიდგან გადმოსასახლებლად.

** გუშინ, 26 ივნისს, დაასაფლავეს მარიამ გასიტაშვილი, რომელიც აგრე უდროოდ გამოესალმა წუთი-სოფელს ამას წინად, როდესაც ბაჟბეუქოვის სახლს ცეცხლი წაეკიდა.

** 27 ივნისს ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად ნახეს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ტობანიერის მცხოვრები ერასტო პეტ. მილორავა, 64 წლის მოხუცი, რომელიც მატარებელზედ შეუმჩნევლად ახტომის დროს ჩავარდნილა და რომლისათვისაც თვლებს ფეხები მოუმტვრევია. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

** 25 ივნისს პოლიციის მე-5 ნაწილში, პუშკინის ქუჩაზედ მოდიოდა თურმე ტფილისის მცხოვრები 16 წლის სერგო სუკიასიანი, რომელსაც უცაბედად ფეხი აუსხლტა თურმე და მომავალ კონკის ქვეშ ჩავარდა. სუკიასიანს ხელი და ფეხი დაუშავდა. დაშავებული მაშინვე ტფილისის მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად.

** ორშაბათს, 25 ივნისს, პოლიციის 1 ნაწილში, მტკვარში საბანაოდ ჩასულა რაჭის მაზრის სოფ. უწერას მცხოვრები გაბრიელ მეტრეველი, რომელიც გაუფრთხილებლობისა გამო დამხრჩვალა. დამხრჩვალის მეტრეველის გვამი უკვე იპოვნეს და ტფილისის მიხეილის სამკურნალოს საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

## კავკასიის მომავალი გამოფენა.

მომავალ გამოფენისათვის ტფილისის კომერციულ ბანკს შეუწირავს 1000 მან. და საქალაქო კრედიტის ბანკს 500 მან.

—

მომავალ გამოფენის გამგე კომიტეტმა 25 ამ თვეს მომხდარ კრებაზე დაადგინა სთხოვოს კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტს 300 მან. ამ ფულით გამოფენის გამგე კომიტეტმა უნდა შეიძინოს სხვა-და-სხვა მანქანა და საჩუქრად დაურიგოს იმ შინა-მრეწველთ, რომელთა ექსპონატებიც საექსპერტო-კომისიის მიერ საუკეთესოდ იქმნება ცნობილი.

—

როგორც ძველ-სენაკიდან გვატყობინებენ, ადგილობრივ სააზნაურო სკოლას განზრახვა აქვს მიიღოს მონაწილეობა მომავალ გამოფენაში. ხსენებულ სკოლას ჰსურს წარმოადგინოს ბაღოსნობისა, მეფუტკრეობისა, მეაბრეშუმეობისა და მევენახეობის ნაწარმოებნი.

—

მომავალ გამოფენის გამგე კომიტეტს დაუდგენია გაგზავნოს კ. მესხი მოსკოვსა და პეტერბურგში ადგილობრივ არტისტებთან მოსალაპარაკებლად და კავკასიის გამოფენაზედ მოსაწვევად. ამისთვის ბ-ნ მესხს დაენიშნება თვეში 150 მან. და გზის ფულიც მიეცემა. კ. მესხსავე აქვს მინდობილი რეპერტუარის მოწყობა. სცენის ადგილი დახურული იქმნება წვიმისაგან. დაწესებული იქნება ადგილების ფასები. ორავ მხრივ გაკეთდება 8 ლოჟა; თითო ეღირება 5 მან. გამოფენისათვის აზრადა აქვთ სინემატოგრაფის შეძენაც.

—

გამოფენის მთავარ კომიტეტს გაუგზავნია ექსპონატების წარმოსაგზავნად განჯის კომიტეტისათვის 200 მან. და ზაქათალის კომიტეტისათვის —100 მან.

—

მომავალ გამოფენაზედ მონაწილეობის მიღების განცხადება გამოუგზავნია კიდევ: განჯის საქალაქო სასწავლებელს, ზაქათალის სახელოსნო სკოლას, რაჭის ორკლასიან სასწავლებელსა და სოჩის სასოფლო-სამეურნეო და საბაღოსნო საცდელ სადგურების გამგეთ.

—

ამიერ-კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორმა შეატყობინა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარს, რომ თავის დროზედ იგი კავკასიის გამო-

---

ვიდრე ყველა ლორდებისა ერთად!

ბოტველი. და საბუთიცა გაქვთ.

დედოფალი. მაგრამ მაინც ჩემთან შებრძოლებას ნუ ეცდები. მართალია, იქნება ახლა ისრე ძლიერი არ ვიყო, როგორც რიჩჩიოს მოკვლის ღამეს, მაგრამ არც ისრე უშემწეო ვარ! რას იტყვის ჩემი გვარეულობა, რას იტყვის ქვეყანა, ან ევროპა, რომ ტყვეთ შემოვიდე აქა და აქედგან-კი შენის ცოლის სახელით გავიდე?!

ბოტველი. მაშინ რაღას იტყვიან, რომ მარიამ სტიუარტი ტყვეთ მყვანდეს აქა და აქედგან არა ცოლის სახელით გავიდეს?!

დედოფალი. ო, ზეცის ძალნო!... იტყვიან... იფიქრებენ, ვითომ...

ბოტველი. ხომ ჰხედავთ—მეტი გზა არა გაქვთ.

დედოფალი. ღმერთო მართალო! აი, თურმე საქმე რაშია!

ბოტველი. დიახ!

დედოფალი. (მძიმედ), მაშ, როგორცა სჩანს, შერცხვენასა და შენს შორის გარჩევა აღარა ყოფილა?—აი, იგი ჩემს წინა სდგას, ბოროტი, ციეი, გამარჯვებული და იცდის (ხმას ამაღლებს)... სულელო! (მიუახლოვდება). ამ ბუნაგიდგან, სადაც, ასე მოულოდნელად გამომიტაცეთ, იცოდეთ, არც დაძლეული და არც შერცხვენილი არ გავალ: სულ აღარ გავალ! გაიწყდება, რომ სიკვდილი ჩემთვის ძნელი არ არის! მაშ მიფრთხილდი!

ბოტველი. მერე თქვენს შვილს რაღას ეუბნებით?

დედოფალი. შვილს? ჩემს შვილს!

ბოტველი. ხომ ობლად დარჩა, უმფარველოთ.

დედოფალი. წმინდა ქალწულო! ეგ-კი მთლად დამავიწყდა!

ბოტველი. თუნდაც მარტო შვილის გულისათვის უნდა უთუოდ გარდასწყვიტოთ!

დედოფალი. ერთად-ერთი სულიერი ეგ არის, რომელიც ამ ქვეყნად მიყვარს და სწორედ მაგან უნდა დამღუპოს!

ბოტველი. დაგღუპოთ?

დედოფალი. მამამაც ხომ ცრემლებისა და მწუხარების მეტი არა მაჩვენა-რა და ახლა შვილისგანაც მასვე უნდა მოველოდე! არა! არა!

ბოტველი. თუ მოგეხსენებათ, უკვე უძებნიათ თურმე, რომ...

დედოფალი. (შეშინებული). ნუ-თუ მართლა!?

ბოტველი. და განა არ იცით? ვის ხელშიაც შვილი იქნება, თქვენც ხომ მასთანვე იქნებით. ამას თქვენვე ამტკიცებთ ახლა. მაშ იზრუნევით, რომ თქვენს შვილს საიმედო მფარველი მოუპოვოთ!

დედოფალი. (თანდათან მხურვალედ). მერე, იცით? ვით სიყვარული ცოდვასთან, იგი ჩემ სიცოცხლესთან ჩაქსოვილია; მაგრამ ცოდვებმა ვერ დამღუპა და ახლა აგერ ჩემივე საკუთარი შვილი-კი უბსკრულში გადაგდებას მიპირებს! (წასაქცევად წაიბარბაცებს). ოჰ, რა ძნელია!.. ღმერთო, შენ მომე ძალა! ამ მუდმივმა ღელვამ ლამის არის ბოლო მომიღოს!

ბოტველი. (მიეშველება, დაიჭერს). მარიამ, ძალა საკმაოდ მაქვს! ამ ჩემს გულში სანდობს ნიადაგსა და ნუგეშსა ჰპოვებთ!

დედოფალი. ოჰ, ჩემს ბავშვობას იმედებით ვიყავ აღსავსე, ახალგაზრდობა გავატარე ბედნიერადა, და ახლა-კი... (ბოტველს შეჰყურებს, ისევ გამხნევდება) არა, ეს ხომ ცოცხლათ სამარეში ჩაწოლა იქნება! სჯობს ისევ წავიყვანო ბავშვი და გლახის სახელით წავიდე აქედგან.

ბოტველი. და ბავშვს გვირგვინი დაუკარგოთ?!

დედოფალი. რას აქნევს მერე გვირგვინსა?

ბოტველი. მაგრამ ვისა აქვს განა უფლება, რომ ამ ბავშვს ტახტი გამოსწიროს? მით უფრო მშობელს დედას არ შეუძლიან!

დედოფალი. რაკი აგრეა, კარგი მაშ! მზად ვარ იმის გულისთვის ქვეყნისა და შენ წინააღმდეგ ვიბრძოლო.

ბოტველი. ჩემ წინააღმდეგ-კი არა; მე მაშინ შოტლანდიაში აღარ ვიქმნები! მაგრამ თქვენთან ვიღა დარჩება, არ ფიქრობთ ამას?

დედოფალი. არავინ! ეს ქვეყანა სწორედ რომ საზარელი რამ არის, არც ერთი მეგობარი, არც ერთი მახლობელი ადამიანი არ გამაჩნია... (დაჯდება და სტირის, ხანგრძლივი პაუზა).

ბოტველი. (რამდენსამე ხანს ჩუმად შეჰყურებს. შემდეგ მიუახლოვდება). ყური დამიგდეთ, დედოფალო! შოტლანდიის საუკეთესო კეთილშობილნი ჩემს მხარეს არიან. აბა, დაჰხედეთ! (გძელს სიას გადაუშლის). აქ სამოცდა ათს უწერია ხელი და ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ იმ დრომდის, სინამ დედოფალი ამ კეთილშობილთაგანვე არ ამოირჩევს მფარველს, იგინი დედოფლის, მემკვიდრისა და თვით ქვეყნისათვის მუდამ შიშობენ. მათი არჩევანი-კი მე მხვდა წილადა (სიჩუმეა, რომლის დროსაც დედოფალი თვალს სწრაფად აავლ-ჩაავლებს სიასა).

დედოფალი- (თავისს თავს ებრძვის). და მერმე, ვენდო ამ ხალხსა? (წამოდგება, მაგრამ ადგილიდგან-კი არ დაიძვრის).

ბოტველი. იმათ-კი არა, მე უნდა მენდოთ. ყველანი ჩემ ხელთ არიან.

დედოფალი. (მცირე პაუზის შემდეგ). მოგენდო შენ?

ბოტველი. (უკან დაიხევს). მაშ, თუ აგრეა, ნურც სხვა ვისმეს ენდობით.

დედოფალი. (ისევ დაჯდება). ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ხსნა სადღა არის?

ბოტველი. უმადური ნუ იქმნებით. განა მთელს ჩემს სიცოცხლეში თქვენ-

ფენაზედ სემინარიის მოწაფეთა სხვა-და-სხვა ნაწარმოებებს გამოჰგზავნის; სხვათა შორის, გამოფენაზედ გამოგზავნილ იქმნება სემინარიის ბაღის ორი გეგმა, მებოსტნეობის, თესლეულობის 60 სხვა-და-სხვა ნაირი თესლი, თაფლი, 50 სხვა-და-სხვა ჯიშის მცენარეულობის თესლი და სხვანი.

## წერილი ტობანიერიდგან
(ქუთაისის მაზრა)

წელს აქაურმა მცხოვრებლებმა შარშანწინდელივით იხარბეს და სამ-სამი კოლოფი თესლი ჩამოირიგეს; ზოგიერთა ოჯახში, სადაც სამი მისხლიდგან ამოსულ ჭიის მოთავსება გაუჭირდათ, ორი კოლოფი, ესე იგი 12 მისხალი აბრეშუმის თესლი-და გაატოცხლეს; ამას დაუმატოთ ახლა ბჟოლის სიძვირე, უვარგისი ფურცლით კვება და ყველა მიჯხვდება, თუ წელს აქეთ პარკის მოსავალი როგორი იქმნებოდა. ბევრს ორიაამი კოლოფი თესლიდგან ერთი ფუთი პარკი ძლივს მოუვიდა და ისიც იმისთანა დროს, როდესაც ფასი პარკისა გარდაწყვეტილი კიდევ არ იყო; ამის გამო ჩარჩებმა ფუთი პარკი შვიდ-რვა მანეთად ჩაიგდეს ხელში. რას უშველიდა პარკის პატრონს რვა მანეთი, როდესაც ათი-თორმეტი მანეთი ბჟოლის ფასში უნდა გაედო! წელს აქეთ ბჟოლა მეტად ძვირი იყო; თვითო აბაზის მაგივრად თვითო ძირი ბჟოლა მანეთათ გახდა. ამისათვის წელს ჩვენსკენაც ბჟოლის ქურდობა გახშირდა, ამას მოჰყვა ჩხუბი, ლაპარაკი და ოქმები და ამგვარად ზარალს კიდევ ზარალი დაემატა: ოქმის შედგენის მაგიერად დამნაშავემ ბჟოლის პატრონის სასარგებლოდ ოთხი-ხუთი თუმანი გარდაიხადა და სხ. ღარიბი კაცი ხშირად შესცდება ხოლმე და ჩაიდენს ამგვარს საქმესა, მაგრამ შეძლებულნიც რომ ასრევე ბრიყვდებოდნენ! ძნელია, თუ კაცი ფულმა დაიმონა; იგი მაშინ ყოველსავე საშუალებასა ხმარობს, რომ ფული არ დაეხარჯოს და სხვისი ნაოფლარი ხელში მოიგდოს; ოთხი-ხუთი თუმნის სარგებლობას მოელის და ორს მანეთს თავისას-კი ვერ იმეტებს. ასრე მოუვიდა ჩვენში ერთს შეძლებულს გლეხს: ადგა და ნაშუადამევის პირველ საათზედ მეზობლის ეზოში ჩავიდა, გასწვა ხეზედ ტოტარა და ფოთოლს ბღდვნა დაუწყო, მაგრამ, საუბედუროდ მისდა თავს ბჟოლის პატრონი წაადგა ტუტუცს ქურდსა და იქვე გაბაწრა. ქურდმა ჯიბეს გაისვა ხელი, ხუთი თითო თუმნიანი ოქრო ამოიღო და თავი დაიხსნა... ზნეობასა და პატიოსნებას რომ თავი დავანებოთ და პირდაპირ სარგებლობის თვალით შევხედოთ საქმესა, როგორ გგონიათ, მკითხველო, არა სჯობდა ისევ პარკის გასეიდვაში ეზარალნა, ვიდრე ასრე დაეღუპნა თავისი თავი და თან სამუდამოდ თავს ლაფი დაესხა?!

—

ჩვენში პარკი 25 მაისიდგან გაჩნდა. გაჩნდა თუ არა პარკი, გაჩნდნენ მაშინვე ჩარჩებიც, მოიდაპარაკეს და ფუთ პარკზედ „მაზანდათ“ შვიდი მანეთი დაადგინეს, როგორც იყო, სამის დღის შემდეგ რვა მანეთზედ ავიდნენ. პარკის მეიდველები ხალხს ეუბნებოდნენ: „გნებავთ, რვა მანეთი წაიღეთ, არა-და, მეტი ფასი არ იქნება; ხომ ჰხედავთ ბ-ნმა წერეთელმაც ასე გამოაცხადა!“

პირველ ივნისს პარკის აქაური ფარდულების მოიჯარადრეებმა ფუთი ათ მანეთად გასადეს. ამ დროს ამათ გაუჩნდნენ წყრილმანი ვაჭრები, როგორც აქვე სოფლებში, აგრეთვე დ. სამტრედიიდგან ჩამოსულები და მაშინვე პარკი 12 მანეთი გახდა; მეიქნა მეტოქეობა და ფასს 14 მანეთამდე აუწიეს; ამგვარად, ბოლოს, როდესაც თითქმის პარკი მოთავდა, ფუთი 16 მანეთი გახდა, მაგრამ გულდაწყვეტილს ხალხს აბა რაღას უშველიდა. ჩვენში სულ სამი ფარდულია: ერთი ს. მუა-ბთაში, დიმიტრი ხაფეტგარიძის ფარდული, რომელიც წელს სომხებმა აიღეს, მეორე ს. ჭყუმში, ბერძნების ფარდული და მესამე—ჭყუმურაში, რომელიც წელს ანჯაფარიძემ აიღო. თვითოეულს ფარდულში 1200 ფუთამდე პარკი ექმნებათ ნაყიდი. საზოგადო სასწორი მთავრობას აქეთ არსად დაუდგამს, ასე რომ ყველას სრული ნება ჰქონდა ნაყიდი პარკი თავისს გამოგონებაზედ აეწონა.

—

აბრეშუმის პარკის „სეზონმა“ ტობანიერი „გორადათ“ გადაგვიქცია: შეიქმნა მოძრაობა, ვაჭრობა, სხვა-და-სხვა ეროვნების ხალხის შემოსვლა, დღე და ღამ ეტლების მიმოსვლა, შარმანკის ხმაზედ დუქნებში ქეიფობა, ოქროების დახურდავება, ქაღდების გამოფენა; ერთი სიტყვით პარკმა ყველა აწრიალა და აამოძრავა. წარმოიდგინეთ, ხარაზ-მკერვალ-მეფურნეებმაც-კი თავისს ხელობას თავი მაანებეს და ამ ერთის თვის განმავლობაში პარკის ვაჭრობას მოჰკიდეს ხელი, მაგრამ ბევრს კრილოვის იგავარაკის „თევზი და კატა“-ს („Щука и Котъ“) ამბავი დაემართა და თავი უბრალოდ დაიდარდიანეს: სასაცილოა სწორედ! რად ჰზედავს, ნეტა, ისეთი კაცი ვაჭრობასა, რომელიც ხუთისა და ათი მანეთის წაგებით ჯავრით მოკვდება, მაგრამ „წამწუმიდა წახედულობამაო“! სულ ამისი ბრალია!

(დასასრული იქნება)

## დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

**ს. მარტვილი** (სამეგრელო). თუ სამეგრელოში ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად სკოლები იშვიათი მოვლენა იყო, სამაგიეროდ ახლა სამეგრელოში სკოლების რიცხვმა ერთი ორად იმატა და ხალხიც მათს საჭიროებას მეტადა გრძნობს და თვითოეულის მათის გახსნას აღტაცებით ეგებება. იშვიათია ამ ჟამად ჩვენში საზოგადოება, რომელშიაც ორი და სამი სხვა-და-სხვა ტიპის სკოლა არ იყოს გახსნილი. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ის-კი არ ითქმის, რომ ეს სკოლები თავიანთს დანიშნულებას საესებით ასრულებდნენ. პირველად ჯერ იმიტომ, რომ სამრევლო-საეკლესიო სკოლა ჯერ მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არის და ამის გამო უმეტეს ნაწილად უვარგისი მასწავლებლები ჰყავთ, და მეორეც, თუმცა მეორე ტიპის სკოლები—სახალხო—მატერიალურად დაკმაყოფილებულნი არიან, არსებულის პროგრამით სახალხო სკოლის დედა-აზრს მაინც ვერ ასრულებენ. იმედია, ამისათვის მთავრობა ამ მთავარს ნაკლს ჩვენის სკოლებისას ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს, რომ სკოლა თავისს დანიშნულებას სასარგებლოდ ემსახუროს.

თუ რომ სამეგრელოში სკოლების რიცხვი ასრე მატულობს, სამაგიეროდ სამკითხველოს ძლიერ იშვიათად შეჰხვდებით და მარტვილი ერთად-ერთი სოფელია, სადაც წიგნთ-საცავ-სამკითხველო არსებობს. ამ მხრივ მარტვილმა თავისზედ მდიდარს სოფლებსა და დაბებს გაუსწრო და მაგალითი უჩვენა. თვით დ. ახალ-სენაკიც-კი, ეს სამაზრო ქალაქი, არა ცდილა, რომ სამკითხველო გაეხსნა და მით დაბალი ხალხისათვის გონებრივი საზრდო მიეცა, თუმცა ამისათვის ახალ-სენაკს საშუალება სრულიადაც არ აკლია. აქვე მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ს. ბანძაში, ამ თავადაზნაურთა სოფელში, ოთხის წლის წინად ბლაღ.-მდ. ანტონ კეკელიასი და განსვენებულის დარია ფაღავას ქალის თაოსნობით სამკითხველო უნდა გახსნილიყო და, როგორც მახსოვს, შემოწირულებაცა გროვდებოდა წიგნებით თუ ფულით, მაგრამ ბანძაში სამკითხველოს ხსენება დღესაც არ არის. მაგრამ არც მარტვილის სამკითხველოა ამ ჟამად შესაშური მდგომარეობაში: სამიოთხის წლის განმავლობაში პირველად მარტვილის სამკითხველო სასურველს მდგომარეობაში იყო: მოსდიოდა ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთები და რამდენიმე რუსულიც, მაგრამ ამ ხნობით-კი, ჩვენდა საუბედუროდ, სამკითხველოს საქმე თან-და-თან უკან მიდის და უფულობა მეტად აწუხებს, რასაც შედეგათ ის მოჰყვა, რომ დღეს სამკითხველო ორიოდე გაზეთის მეტს ვეღარას იწერს თავს. მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ სამკითხველოს შემოსავალი ძალიან ცოტა და გასავალი-კი ისევ ის არის. ცხადია, თუ სამკითხველოს საქმე ასრე წავიდა, დიდ-ხანს ვეღარ იბოგინებს და სულს დალევს. ამის თავიდგან ასაცილებლად საჭიროა საწევრო ფულები ყველასაგან უთუოდ დროით იქმნეს შემოტანილი, გამართოს წარმოდგენები და კერძო ხელის მოწერა და ამ ნაირად შეგროვილის თანხით სამკითხველოსათვის საკუთარი სახლი აშენდეს, რომლიც ეხლა სამკითხველოს წლიურად 60 მან. უჯდება. ამასვე უნდა მიემატოს ბ. გ. ტატიშვილისაგან შეკრებილი 75 მან., მით უფრო, რომ ეს ფულები ამ ხნით გროვდებოდა.

მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ მარტვილში შარშან წარმოდგენა იყო გამართული. შემოსავლიდგან მაშინ ნახევარი სამკითხველოს [illegible], ხოლო მეორე ნახევარი [illegible] თა სკოლას, მაგრამ რომ სასაცილო საქმე არ დაგვემართოს, სჯობს ეს ფულიც სამკითხველოს მოხმარდეს, რადგანაც ჯერ სკოლა არსად არის: სჯობს ჯერ ერთი საქმე დადგეს მტკიცე ნიადაგზედ და მერე სხვა, თორემ ორი კურდღლის მდევარიო... იმედია, ამისათვის პატივცემული გამგე მალე კრებას მოახდენს და ამ საგანს ჯეროვანად განხილვის შემდეგ სასურველად მოაწყობს. დასასრულ, ვსთხოვ დ. ნაიდაძევის ვაჭრებს (თუმცა, მართალია, სამკითხველოზედ დიდი შრომა მიუძღვით) ამ კეთილს საქმეს შეეწეოდა კვლავად ადმოუჩინონ და სამკითხველო დახურვამდე არ მიიყვანონ. წარმოდგენის საქმესაც, იმედია, კნ. ე. ნაკაშიძისა და ქ. ტატიშვილისა ითავებენ, მით უფრო, რომ შარშან პირველი მოთავე იყო, ხოლო მეორე ნიჭიერი მოთამაშე.

პ. გ—ძე

## რუსეთი

—

„მომავალ“ შემოდგომაზედ სახელმწიფო საბჭო განიხილავს სახელმწიფო სამსახურის წესდების ახალს პროექტს. პროექტში სამი მუხლია, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მყოფ ქალთა უფლებებს შეეხება. მუხლი მე-110. ქალები შეიძლება გამწესებულ იქმნენ: საადმზრდელო, სამასწავლებლო და სამკურნალო ნაწილებში იმ დადგენილებათა თანახმად, რომლებიც სასწავლებელთა წესდებებშია აღნიშნული; 2, მკურნალებად სამკურნალო წესდების თანახმად; 3, სხებით, საფერშლო, საათუთქარ და საპროვიზორო ქალთა და ბავშთა სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე იმ სამკურნალო დაწესებულებებში, სადაც დღეს ქალებს იდებენ; 4, ყვავილის ამცრელებად და ბიბლიოთეკის მკურნალებად, 5, სატუსაღოთა უფროსების თანაშემწეებად, ქალთა სატუსაღოების ზედამხედველებად, უფროს და უმცროს მეთვალყურეებად, ფერშლებად, ბებიებად და მასწავლებლებად სატუსაღოებშივე; 6 ტელეგრაფისტებად, რომლის დროსაც საფოსტო ნაწილის თანამდებობათა აღსრულებაც შეუძლიანთ; 7, იმ დაწესებულება სამწერლო, სამეურ-

---

თვის არ ვიბრძოდი?

**დედოფალი.** მართალია, ყველა იმათში შენ ერთად-ერთი იყავი... (საბრალულის კილოთი), მაგრამ შენც ეგრევე რაღ?!.

**ბოტველი.** (აჩქარებით) მაშ იცოდე, რომ ბედი ჩემი ყველა მათგანის ბედია. ან შენ უნდა ჩემი იყო, ან არა და თავი დაგანებო... (ხმა შეუწყდება) მეტი აღარ შემიძლიან... მიბრძანე გასვლა და ღმერთია მოწმე—გავალ!

**დედოფალი.** არა, ბოტველ, თავს ნუ დამანებებ! სამაგიეროდ, ხომ იცი, არავინა მყავს. ოჰ, ღმერთო! (სტირის).

**ბოტველი.** (მიუახლოვდება). დედოფალო! მარიამ! (მუხლის თავზედ დაიჩოქებს). ამას იქით შენს შეურაცხყოფას ფიქრადაც-კი ვერავინ გაივლებს!

**დედოფალი.** მერე, რას თხოულობ, ბოტველ ჩემგანა?

**ბოტველი.** (მეორე დახვეულს ქაღალდს ამოიღებს) აი, ამ ქაღალდს მხოლოდ თქვენი ხელის მოწერა-ღა აკლია. მოაწერეთ ხელი და ღვთისა და ხალხის წინაშე ჩემი ცოლი იქმნებით!

**დედოფალი.** მერე, პირობას მაძლევ, ბოტველ, რომ კეთილად მოეპყრობი? იმდენი ტანჯვა გამოვიარე, რომ სამხიარულო ამ ქვეყნად აღარა მიმაჩნია-რა.

**ბოტველი.** თქვენი შვილი?

**დედოფალი** (მხურვალედ). შემომფიცე, რომ მისს ნორჩს სიცოცხლეს, სამეფო უფლებას მფარველობას გაუწევ! მე თვითონ ეს არ შემიძლიან!

**ბოტველი.** გეფიცები!

**დედოფალი.** შემომფიცე, რომ შვილს არასოდეს არ მომაშორებ! (სტირის).

**ბოტველი.** გეფიცები!

**დედოფალი.** (კალამს აიღებს). ოჰ, რაოდენი ბრწყინვალე იმედი, რაოდენი... არა, არ შემიძლიან! (თავს მკლავებზედ დასდებს და ქვითინებს).

**ბოტველი.** (ადგება) მაშ არ მენდობით?

**დედოფალი** (მძიმედ შეჰხედავს). ხომ სიყვარულით არა სჩადიხარ ამას!

**ბოტველი.** მარტო სიყვარულით არა. მიყვარხარ მედ, რომ უფლება მოსილი ხარ და ეს უფლება კიდევ იმიტომ მიყვარს, რომ იგი შენა გაქვს. უამისოდ ხომ მეც შენთვის უსარგებლო ვიქმნებოდი. ამ მხრივ დარნლეიც საკმაო იყო შენთვის.

**დედოფალი.** ღმერთმა-კი განუსვენოს, მაგრამ თუნდაც ათი სამეფო ერთად მოეცათ, მაინც მეორედ ცოლათ აღარ გავყვებოდი! ამისრულებ იმას, რაც დარნლეის არ შეეძლო, მფარველობას გამიწევ?

**ბოტველი.** ამიერიდგან თქვენი მფარველობა თვით ჩემის თავის მფარველობა იქმნება!

**დედოფალი.** მართლაც-და, სხვაფრივ არც მოხერხდება (კალამს ხელახლად აიღებს). მაგრამ რას იტყვის, ნეტა, ჩემი გვარი, ამაყი სამეფო გვარეულობა გიზებისა? არა, არა! (კალამს ისევ დასდებს)!

**ბოტველი.** მაგრამ შვილს ნუ დაივიწყებთ!

**დედოფალი.** ოჰ, მართლა ჩემი შვილი, ჩემი საყვარელი ბიჭი! ოჰ, ღმერთო! ახლა აკვანში სძინავს უდარდელათა და არა იცის-რა, თუ მისი დედა როგორ იბრძვის იმის გულისთვის!

**ბოტველი.** თუნდაც მარტო იმის გულისათვის უნდა გარდასწყვიტოთ!

**დედოფალი.** დიახ, ჩემს სიამაყეს, ჩემს უფლებას იმას ვამსხვერპლებ... გარდავწყვიტე! ღმერთია მოწმე, არ ვიცი რად, მაგრამ გარდავწყვიტე-კი! (კალამს აიღებს და წყნარად ამბობს) მარიამი ახლა თავისს სასიკვდილო განაჩენზედ აწერს ხელს! (მოაწერს და ხმა მაღლივ ქვითინით უკან მიესვენება).

**ბოტველი.** (ქაღალდს აიღებს, დედოფლის წინ მუხლს მოიდრეკს და ხელზედა ჰკოცნის). კმარა, მარიამ, ტირილი!

**დედოფალი.** ოჰ, არა, არა, არა, არა!

**ბოტველი.** როგორ სტირი? სტირი ჩემ გამო? მაგ ცრემლების გულცივად დანახვა არ შემიძლიან!

**დედოფალი.** არა, მე მხოლოდ ჩემს თავზედ ვსტირი. ეგ არის, მორჩა, დასრულდა ყველა! ამიერიდგან დედოფალა აღარა ვარ!

**ბოტველი.** ოჰ, მაგ ცრემლებმა გული შემყინეს!

**დედოფალი.** ოჰ, რომ შემეძლოს მთელი ჩემი სიცოცხლე ცრემლებათ ამოვაფრქვიო და ცრემლი ცრემლს სამარადისო წყაროთ შევუერთო! ოჰ! ახლა-კი ყველაფერს ბოლო მოეღო!

**ბოტველი.** არა, ეს მხოლოდ დასაწყისია! მთხოვე, რაც გინდა და ყოველივეს შეგისრულებ!

**დედოფალი.** პირველი და თავი და თავი ჩემი სათხოვარი ის არის, რომ ნება მომცეთ ტირილით გავძღე!

**ბოტველი.** იტირეთ, მაგრამ (ჩუმად) ბოლოს თვითონვე ინანებთ!

**დედოფალი.** (თავს მაღლა აიღებს და ზემოდგან შოტლანდიის დროშას დაინახავს). ოჰ, შოტლანდიის დროშავ, ცუდად, ცუდად გამიწიე მფარველობა! შენი ქსოვილი ჩემ ცრემლთაგან გამოშრობას ვეღარ ეღირსება... ძლიერო ლომო, რად გადმომაგდე? ეგ შენი დიადი მეფური ნახტომი საითკენ მიგიმართავს, ნეტა, რომ ესრედ სუმბუქი ვეღარა მზიდე?!

**ბოტველი.** ნუ გეშინიანთ, წავიყვანთ კიდევ! ძლიერს ლომობას ამიერიდგან მე გაგიწევთ!

**დედოფალი.** ოჰ, რა ძლიერად ჩაეჭდო იგი კლანჭებით ამ ჩემს გულს!

(დასასრული იქნება)

ნეო და სასნგარიშო ნაწილებში, სადაც მინისტრთა კომიტეტისაგან ნებადართულია. მუხლი 223 იმ ქალებს, რომელნიც სწავლა-აღზრდის საქმეში მსახურებენ, აგრეთვე მკურნალ ქალებს საგზაო ფული ისევე ეძლევათ, როგორც საკლასო თანამდებობაში მყოფთ, დანარჩენთ-კი ისევე, როგორც უმცროს მოხელეთ. მუხლი 291. ქალები შეიძლება წარდგენილ იქმნან საპატიო ჯილდოების მისაღებად; არ შეუძლიანთ მხოლოდ ჩინებისა და ორდენების მიღება. ამათგან იმათ, ვინც თავად-აზნაურთა წოდებას ეკუთვნიან, შეუძლიანთ მიიღონ გულზედ სატარებელი ოქროს მედალი ანნას ლენტით. შემდეგ, პროექტის მე-265 მუხლში ჩამოთვლილია ის ჯილდოები, რომელთა მიღებაც ქალებს შეუძლიან: უმაღლესის მადლობის გამოცხადება, უმაღლესის სახელით საჩუქრის მიღება, ერთხანად ფულით დაჯილდოვება, საპატიო მოქალაქის წოდების მიღება და სხვა.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ტიბეტის დალაი-ლამის (სასულიერო უწყების უფროსი და მბრძანებელია) ელჩების პეტერბურგში მისვლამ ინგლისში დიდი ლაპარაკი და შიში აღძრა: „ინგლისელებს შიში აქვთ, რომ საიდუმლო სასულიერო მბრძანებელმა მრავალის მილიონ მცხოვრებლებისა, დალაი-ლამამ, თავისი გავლენა რუსეთის სასარგებლოდ არ იხმაროს და ინგლისის საზარალოდ პოლიტიკურს სასწორს რუსეთისაკენ არ გადასწიოსო, ამბობს გერმანული გაზ. „Post“, ხოლო ინგლისური გაზ. „Glob“-ი ასე ამშვიდებს ინგლისელებს: „ჩვენდა საბედნიეროდ, აზიაში მოიძებნება დამოუკიდებელი ხელმწიფე, რომელიც რუსეთის მუქარასა და რუსეთის პირფერობას არავითარს ყურადღებას არ აქცევს. ერთიცა და მეორეც ბევრჯელ უცდიათ რუსებს, მაგრამ ავღანისტანის ემირს ამის პასუხად მხოლოდ სახელმწიფოს სამხედრო ძალა და სიმაგრეები გაუორკეცებია და გაუმრავლებია. აბდურახმანს საკმაო საშუალება მოეძებნება, რომ გერატზედ მიმავალი გზა კანდაგარში გაამაგროს, მტერი არ შეუშვას. ემირმა კარგად იცის, რომ, როგორც-კი რუსეთთან რაიმე უკმაყოფილება და შეტაკება მოუხდება საზღვარზედ, მაშინვე ინგლისის ძლიერი ჯარი მიეშველება და გერატის გამაგრებაში დაეხმარება, რომელიც ამ ჟამად დასავლეთის საუკეთესო სიმაგრედ ითვლება. ასეთსავე მდგომარეობაშია აგრეთვე ავღანისტანის სატახტო ქალაქი ქაბული.

მართალია, ამ ბოლო დრომდის რუსეთის საზღვრები ამუ-დარიის მხრიდგან ცუდად იყო გამაგრებული, მაგრამ ახლა ეს გარემოება საშიში სრულიად აღარ არის, რადგანაც ეს სტრატეგიული ნაკლი უკვე გათვალისწინებულია და ყველგან დიდი სიმაგრეები შენდება, ახალის, განკარგებულის ზარბაზნებითა და სხ. იარაღით მოწყობილი. ეს გზა უამისოდაც ძნელი გასავლელია და როცა გამაგრდება, მაშინ ხომ სრულიად შეკრული და გაუვალი იქნება თუნდაც საუკეთესო მხედრობისათვისაც. გარდა ამისა, შესვლითაც დიდი ჯარი ვერ გაჰბედავს შესვლასა, რადგანაც ეს ადგილები ხალხით მცირედ არის დასახლებული და თუ რამე მოდის, თითონ ძლივს ჰყოფნით საზრდოთა; მაშასადამე, მტერი ან ვერ გაჰბედავს დიდი ჯარის შემოყვანასა, ან არა-და უნდა იმდენი საზრდო და სურსათის ურმები წაიღოს თანა, რომ მარტო ამისი მტრისგან დაცვა და გაფრთხილება მოითხოვდა დიდ-ძალს ჯარსა. მით უფრო, რომ ავღანელებსა და აფრიდიებს ომზედ მეტად ძარცვა-გლეჯა უყვართ და სწორედ ამ სურსათისა და საზრდოს ურმებს აედევნებიან. ამატომაც შეუძლებელია რუსეთის დიდმა ჯარმა ასე თამამად საზღვარს გადასვლა მოახერხოს და ქაბულზედ სწრაფად მიიტანოს იერიში.

— როგორც ინგლისის ოფიციალური ცნობებიდგანა სჩანს, ივნისის განმავლობაში სამხრეთს აფრიკაში ინგლისელებისათვის 45 ოფიცერი და 152 ჯარის-კაცი მოუკლავთ და, გარდა ტყვეთ წაყვანილებისა, 42 ოფიცერი და 444 ჯარის-კაცი დაუჭრიათ; ჭრილობისაგან მოჰკვდომიათ 6 ოფიცერი და 60 ჯარის-კაცი და უკვალოთ დაკარგულან და ტყვეთ წაუყვანიათ 3 ოფიცერი და 78 ჯარის-კაცი.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან
ამოკრებილი ამბები

ქ. ლონდონი, ეს უდიდესი ქალაქი მთელ დედა-მიწის ზურგზედ, რამდენისამე კაცის, დიდის გვარის შთამომავლის, საკუთრებას შეადგენს. ლონდონელ სახლის პატრონთა უმრავლესობა მხოლოდ მოიჯარადრენი არიან, რომელთაც მიწა 99 წლითა აქვთ აღებული; თვით მიწა-კი ლორდების საკუთრებაა. ერთ ლორდს, გვარად პორტმენს, მთელი უესტ-ენდი ეკუთვნის, სადაც 2,000 სახლია. თუ რა მდიდარი კაცია ეს ლორდი და რა შემოსავალი აქვს, შემდეგიდგანა სჩანს. 1888 წელს მოიჯარადრეთა უმრავლესობას იჯარის ვადა გაუვიდა. მიწების ახლად გაცემის დროს წინანდელ საიჯარო ფასს პორტმენმა „ცოტა რამ“ წაუმატა და აი ამ „ცოტა რამის“ წყალობით ლორდი წინანდელთან შედარებით წელიწადში 130,000 გირვანქა სტერლინგს მეტს იღებს, ე. ი. 1,300,000 მანეთს! მეორე მემამულეს, ჰერცოგ პორტლენდს წელიწადში მიწების იჯარისაგან $4^1/_2$ მილიონი მანეთი აქვს წმინდა შემოსავალი, უფრო მეტი შემოსავალი აქვს უესტმინსტერის ჰერცოგს. ჰერცოგ ბელფორს ლონდონში 120 აკრი მიწა აქვს; თითო აკრი 200,000 მარკადა ღირს, სულ კი 25 მილიონ მანეთად. ამას გარდა ბელფორს ეკუთვნის კოვენ-ჰარდენი. ამ ჰერცოგის მიწაზეა ბრიტანიის შესანიშნავი მუზეი და ლონდონის უნივერსიტეტი. სხვა მემამულეთა შორის ცნობილნი არიან ლორდი ნორტჰემტონი, სერ ბერკ მიდლტონი, ლორდი კერზონი, ლორდი კედოგენი და ჰერცოგი ბედფორდი. ლორდ კედოგენს, როგორც ამბობენ, მარტო ერთ „Chelsea“-დგანა ყოველ წელიწადს 9 მილიონი მანეთი შემოსავალი აქვს. დიდძალი მამულები აქვთ აგრეთვე ინგლისელ ეპისკოპოსებს.

⁂

შესანიშნავ მეცნიერს ლორდ კელვინს (ტომსონს) საყურადღებო აზრი გამოუთქვამს ჰაერის შესახებ. როგორც ვუწყით, ჰაერის ის მთავარი ნაწილი, რომელიც სულდგმულთა სიცოცხლისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მჟავბადეა. კელვინს უთქვამს, რომ მრეწველობა, რომელიც დღითი დღე ვითარდება და ძლიერდება, ბოლოს გააქრობს ჰაერში ამ მთავარ ნაწილს და ცოცხალ არსებათათვის სიცოცხლეს შეუძლებელსა ჰყოფსო. კელვინის აზრით, უწინ, მიწის განელების დროს ჰაერი უმთავრესად აზოტისა და ნახშირის სიმჟავისაგან შესდგებოდა. მჟავბადი ამ ჰაერის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა. მას შემდეგ, რაც მცენარეულობა გაჩნდა, მჟავბადის რაოდენობამაც მოიმატა. ამ რიგად მხოლოდ მრავალ წლის შემდეგ შეიქმნა ჰაერი სასუნთქველად გამოსადეგი. მაგრამ ამავე დროს მცენარეულობაში თან-და-თან თავს იყრიდა ნახშირბადიც. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მჟავბადი ერთსა და იმავე დროს მატულობს და კლებულობს კიდეც, მატულობს მცენარეთა გამრავლებასთან ერთად, კლებულობს ამ მცენარეულობის წვასთან ერთად. ცეცხლი დიდძალ მჟავბადს ანადგურებს, ხოლო რადგანაც მრეწველობის განვითარებასთან მეტი ცეცხლია საჭირო, მჟავბადი უფრო კლებულობს, ვიდრე მატულობს. კელვინის გამოანგარიშებით, 400 წლის შემდეგ მჟავბადი თითქმის სრულიად გაქრება და ჰაერი ისე შეიცვლება, რომ სუნთქვა შეუძლებელი გახდება, ე. ი. 400 წლის შემდეგ ცოცხალი არსებანი სრულიად ამოსწყდებიან.

## დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 ივნისი.

**ხარკოვი.** გასულ წელს ალექსეევის მთის მრეწველთა საზოგადოებას მოგება ჰქონდა 431,686 მან. სახელმწიფო ბანკი აძლევს საზოგადოების მოძრავ ქონების პირველ გირაობის წერილზედ 6 მილიონს. დირექტორებად არჩეულ იქმნენ: დ. ა. ალჩევსკი, გობირევი და კრიჩევსკი.

**კურგანი.** დიდი სიცხეებია; ბალახი დასჭკნა; პურისათვის წვიმაა საჭირო.

**კიევი.** პურის ბაზრის საქმე სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებში წყნარად და სუსტად სწარმოებს. გამოზოგებული პური გამოილია. პურის მფქველები არავისთანა სდებენ პირობებს, რადგანაც კარგს მოსავალს მოელიან. ზოგიერთ ადგილებში კარგს მოსავალს ძალიან დააკლდა ქარისა და ღვარისა გამო. წვიმა ხელს უშლის პურის მკას. სამშენებლო მასალისა, ხე-ტყისა და აგურის ფასმა შესამჩნევად დაიწია, რადგანაც ძალიან ცოტასა ჰყიდულობენ.

**კიევი.** გასულ კვირის განმავლობაში შაქრის ქვიშის საქმე ბირჟაში კარგად და ცოცხლად მიდიოდა. მყიდველი ბევრი იყო.

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის დერბის დღევანდელს დოღზედ 41,500 მან. აიღო რეშკის ზავოდის ულაყმა „ლერრსიემ;“ საიმპერატორო სანაძლეო 12,050 მან. აიღო კრასინსკის ზავოდის ულაყმა „პიკვიკმა“.

**ხაბაროვსკი.** გუშინ ხაბაროვსკის მიძინების საკრებულო ტაძარში გადმოასვენეს ღვთის მშობლის ხატი, ათონში გაკეთებული და კურთხეული. ეს ხატი გამოუგზავნეს ძღვნად მთაწმიდის რუს მეუდაბნოეებმა კურთხევითა „წმიდისა მთისა ათონისათა“ ჯარის წინამძღოლს გენერალს გროდეკოვსა და ყველა ჯარს პრიამურის სამხედრო ოლქისას და მანჯურიაში მყოფს.

**კონსტანტინეპოლი.** ხედივი მოვიდა აქა და ილდიზ-კიოსკში გაემგზავრა სულთანისადმი თვისის ერთგულობის გამოსაცხადებლად. *)

**სოფია.** პროკურატურამ პასუხის გებაში მისცა მაკედონელები სარაფოვი და მისი ამხანაგები ბუხარესტში მკვლელობის საქმეში მონაწილეობის მიღებისა გამო. მეფის კარლოსის წინააღმდეგ შეთქმულობის ჩადენისა გამო აღძრული საქმე შეწყვეტილ იქმნა.

საქმის განხილვა ალბათ აგვისტოს დამდეგს მოხდება.

*) ზემო მოყვანილი დეპეშები ქუხილმა დაგვიანა.

**კონსტანტინეპოლი.** რადგანაც გებიზევთან კარანტინზედ გავლა „ორიანტ-ექსპრესს“-ის მატარებლით მოსულთაც უხდებათ, ამისათვის ხვალიდგან ეს მატარებელი გამოსვლას შესწყვეტს.

**სვინემიუნდე.** დილით იმპერატორი „ჰოჰენცოლერნი“-თ ჩრდილო წყლებში გაემგზავრა.

**ტანჟერი.** ამ მოკლე ხანში დასრულებულ ადგილობრივ სასულიერო დღესასწაულების დროს 3 ევროპიელი ჩააქვავეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. იმედი აქვთ, რომ ტანჟერში, სადიპლომატო კორპუსის სამყოფელ ადგილში, დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მოსპობენ სასულიერო დღესასწაულებსაო.

**ედინბურგი.** 22 ივნისს ბურების რაზმს უეცრად თავს დაესხა ბრიტანიის რაზმი. 19 ბურმა თვისის წინამძღოლის ბარლგეიზენითურთ იარაღი დაჰყარა.

**რაგცი.** ჰოჰენლოეს გვამს ხვალ დილით გაასვენებენ შილლინგსფიურსტში და დაასაფლავებენ კნეინა ჰოჰენლოეს საფლავის გვერდით. თავ. ჰოჰენლოემ დასტოვა მოგონებანი, მაგრამ არ უნდოდა, რომ გამოექვეყნებინათ მაშინვე სიკვდილის შემდეგ.

**ოდესა.** 24 ივნისს, საღამოთი, ოდესის ვაჭრები ეღირსნენ უმაღლესს ბედნიერებას: მათ ესტუმრა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე. მაღალი სტუმარი დიდის ამბით იქმნა მიღებული და სადილიც გაუმართეს. ღამის 11 საათზედ მისი უმაღლესობა „როსტისლავის“ გემზე წავიდა.

**სიმბირსკი.** სენგილეევის მაზრაში სეტყვამ გააფუჭა 1000 დესიატინა და ბიკინისაში 205 დესიატინა მიწის მოსავალი.

**ხარკოვი.** გასულ ღამეს ქალაქის 1-ლ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდგან მოიპარეს 7,000 მან. ქურდი შეიპარა შენობაში, გასტეხა ორი კლიტე ფულიანის ზანდუკისა და წაიღო ფული.

26 ივნისი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში სამხედრო სამინისტროს საფინანსო მდივანმა სტენდიმ აუწყა, რომ უკანასკნელის 4 თვის განმავლობაში 8000-მდის ბური იქმნა მოკლული, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილიო; ამავე დროს სამხრეთ-აფრიკაში საშუალო რიცხვით 251,000 ბრიტანიის ჯარი იყო, მათ შორის 14,000 ავადმყოფიო.

**ლონდონი.** ლორდ როზბერი მეფესთან იყო აუდიენციაზედ მთელის საათის განმავლობაში. ამის შესახებ დაწვრილებითი ამბავი არავინ იცის, მაგრამ როგორც სჩანს, ამ აუდიენციის პოლიტიკური მნიშვნელობა არა ჰქონდა.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ ბურების უფროსი შეპერსი მურრეისბურგში მოვიდაო, სადაც ჯარი არ იყო, და გადასწვა ყველა საზოგადო და სხვა-და-სხვა კერძო შენობებიო.

**მარსელი.** ფოსტის გემში „ლაოსში“, რომელიც შორეულ აღმოსავლეთიდგან მოვიდა, ერთი კოჩეგარი არაბი გახდა შავის ჭირით ავად. პორტ-საიდსა და მარსელს შორის 15 კოჩეგარი გახდა შავის ჭირ… ავად. ფიულეში მოთავსებ… ერთი მოკვდა გუშინ და მეორე დღეს დილით. მგზავრნი და გემ… სხვა მოსამსახურენი ჯან-მრთელ… არიან. გუშინდელ დღის განმავ…ბაში სანიტარო მთავრობამ ყოვე…ლი ღონის-ძიება მიიღო ყველა მგზ…ვრის, რიცხვით 317 კაცის ფიულ…ში დასაბინავებლად. დღეს ისი… ყველანი ფიულეში იქმნებიან გამოყვანილნი. მკურნალებიც იქ არ…ან გაგზავნილნი. ათის დღის კარა…ტინი იქმნა დანიშნული, მაგრამ თ… კიდევ მოხდა შავის ჭირით ავა…მყოფობა, კარანტინი მეტ ხანს გა…გრძელდება.

**ბუხარესტი.** კონსტანტ… ნეპოლ… შავის ჭირის ხელ-ახლა გაჩენისა გ…მო სულინში კარანტინი 6 დღ… კიდევ დარჩება. კონსტანცისა … მანგამიის ნავთ-სადგურ ები ღახურუ… იქმნა. რუმინიიდგან კონსტანტინ…პოლში გემების მიმოსვლა შეწყვ…ტილ იქმნა.

**ლეიპციგი.** გუშინ ნიუ-იორკი…დგან დაბრუნებული ლეიპციგის ბ…ნკის საკანტროლო საბჭოს თავმჯდო…მარე, ქალაქის საბჭოს წევრი … ავსტრი-უნგრეთის ელჩი დოდელ… დაპატიმრებულ იქმნა პროკურატ…რის განკარგულებით.

### ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „მირველი ტომი“, მოთხრობა ივ. ბუქურაუ…ლისა. ამავე წიგნში მოთავსებულ… სურათები „მცივა, მშიან!..“ იმ… დისა. წიგნაკი 32 გვერდს შეიცა… და ღირს ერთ შაურად.


### განცხადებანი

ბატონებო! ვისაც გნებავთ ცივ… „ნარზანი“, „ბორჯომი“, ლიმონა…თი, რძე და აგრეთვე ყოველნაირ… წყალი, მობრძანდით

**„გიგლას ბუფეტში“**

პუშკინის ბაღში („სკვერში“), პუშკინის ძეგლის მახლობლად.

(2—146—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობ… ამით აცხადებს, რომ 27 ამა ივნის… შუადღის 1 საათზედ, გამგეობის თ… ნადასწრებით მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა მ… კირწყვლა ორლოვის ქუჩისა და ა… რეთვე ამ ქუჩაზედ კედლის გაყვან… სამუშაო 3255 მ. 35 კაპეიკისაა.

მსურველს შეუძლიან პირობა… გასინჯოს გამგეობის მესამე ამშენ… ბელ განყოფილებაში ყოველ დღ… კვირა უქმეს გარდა, 9-დგან 2 სა… თამდე. (2—6.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობ… ამით აცხადებს, რომ მისის თან… დასწრებით 28 ივნისს, დღის 1 სა… ათზედ, 63 სადამფასებლო პლანშ… ტის ლიტოგრაფიულის საშუალე… ბით მოსამზადებლად, სულ 1475 … ღირებულობისა, **საჯარო ვაჭრობაა დანიშნული.**

მსურველთ შეუძლიანთ პირობ… ბი ამის შესახებ ქალაქის გამგეობ… საამშენებლო განყოფილებაში ინა… ხულონ ხოლმე დილის 9-დგან ნა… შუადღევის ორ საათამდე, გარდ… კვირა-უქმე დღეებისა. (3—6.—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го Іюня 1901 г. სტამბა ქ. ივ. ხელაძისა, დორის-მეჯვრისხევის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე